დღეს მაცხოვრის ფერისცვალებაა, გილოცავთ!

ხაშურის მოამბე

№31 (452) 19 აგვისტო, ორშაბათი, 2024 წელი

ხაშურში აქტიურად გრძელდება „წყალმომარაგებისა და წყალარინების" სისტემების რეაბილიტაცია

პროექტის მიმდინარეობასთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტში შეხვედრები ინტენსიურად იმართება.

ამჯერადაც, ადმინისტრაციულ შენობაში, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი თენგიზ ჩიტიაშვილი, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ზვიად ქურდაძე, მერის თანაშემწე მერაბ ბარბაქაძე და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი გიორგი პაპიაშვილი საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის დირექტორის მოადგილე გუგა კაკაბაძესა და საერთაშორისო ტენდერში გამარჯვებულ კონტრაქტორ თურქული კომპანიის- „JV of YDA Insaat Sanayi Ve Ticaret Anonim Sirketi & Ardem Yapi Gayrimenkul Insaat Taahut Akar. Mad. Tic. A.S" წარმომადგენლებს შეხვდნენ.

შეხვედრა პროექტის მიმდინარეობის დეტალების განხილვას, მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებას და პროექტში დეტალების კორექტირებას ემსახურებოდა.

დღეის მდგომარეობით, ხაშურში წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემები მოძველებულია, რაც ადგილობრივებს პრობლემებს უქმნის. ქალაქს წყალი დღის განმავლობაში რამდენიმე საათით მიეწოდება. მასშტაბური პროექტის დასრულების შემდეგ, ქალაქ ხაშურის მოსახლეობას, დაახლოებით 30 000 ადამიანი, 24 საათიანი წყალმომარაგებითა და წყალარინების მოწესრიგებული ინფრასტრუქტურით ისარგებლებს.

ქალაქ ხაშურის წყალმომარაგებისა და წყალარინების" პროექტი ხორციელდება საფრანგეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (AFD) ფინანსური მხარდაჭერით. აღსანიშნავია ისიც, რომ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია დააპროექტებს ქუჩებს და იქ, სადაც წყლის პროექტი განხორციელდება, ეტაპობრივად, მოაწესრიგებს საგზაო ინფრასტრუქტურასაც.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა, რუსთაველის ქუჩის ცალმხრივობასთან დაკავშირებით, საკონსულტაციო შეხვედრა გამართა

შეხვედრას ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის მერიის, შსს ხაშურის რაიონული სამმართველოს და საპატრულო პოლიციის ხელმძღვანელი

პირები, ადგილობრივი სატრანსპორტო კომპანიის, მცირე ბიზნესის, საზოგადოების წარმომადგენლები, დარგის სპეციალისტები.

შეხვედრაზე განხილულ იქნა რუსთაველის ქუჩაზე მოძრაობის დარეგულირების სხვადასხვა ვერსიები. დაინტერესებულ მხარეებს შესაძლებლობა მიეცათ წარედგინათ საკუთარი შეხედულებები და არგუმენტები.

როგორც მუნიციპალიტეტის, ისე სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა მხრიდან ხაზგასმით აღინიშნა, რომ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას უპირველესი პრიორიტეტი მოქალაქეთა უსაფრთხოება იქნება. აღსანიშნავია, რომ ცალმხრივი მოძრაობის დაწესების შემდეგ, რუსთაველის ქუჩაზე ავტოსაგზაო შემთხვევების რაოდენობა პრაქტიკულად მინიმუმამდეა დაყვანილი, მაშინ, როცა ორმხრივი მოძრაობისას, თითქმის ყოველკვირეულად, ავტოსაგზაო შემთხვევებს ჰქონდა ადგილი.

მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ გადაწყვეტილების მიღებისას აუცილებლად გასათვალისწინებელია ბოლო წლების სტატისტიკა, რომლის შესაბამისადაც, ავტომობილების რაოდენობა ხაშურში 2000 ერთეულით არის გაზრდილი, რაც გავლენას ახდენს მოძრაობის ინტენსივობაზე.

ამ ეტაპზე, საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული არ არის. მსჯელობა გაგრძელდება. შეხვედრის მონაწილე მხარეები შეთანხმდნენ, რომ გადაწყვეტილების მიღებისას, მოქალაქეთა აზრის მაქსიმალური გათვალისწინებით და მათი საუკეთესო ინტერესების დაცვით იმოქმედებენ.

აღმოსავლეთ-დასავლეთის მაგისტრალური გზის რიკოთის საუღელტეხილო მონაკვეთზე, რიკოთის ისტორიული გვირაბის პარალელურად, ახალი 1800 მ-იანი გვირაბის მშენებლობა დასრულდა და ავტოტრანსპორტის მოძრაობა გაიხსნა

ახალი 1800 მ-იანი გვირაბი რიკოთის საუღელტეხილო გზაზე არსებულ და მშენებარე გვირაბებს შორის ყველაზე გრძელია.

აპრილიდან ავტოტრანსპორტი იმოძრავებს ახალი გვირაბით, ძველ გვირაბში კი სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყება. ძველ გვირაბში განახლდება გზის საფარი, გამოიცვლება სანათები, დამონტაჟდება საგზაო უსაფრთხოების აუცილებელი სისტემები.

ახალი გვირაბი სრულად არის აღჭურვილი საგზაო უსაფრთხოების აბსოლუტურად ყველა, მექანიკური თუ ელექტრო, ასევე, სავენტილაციო, პირდაპირი კავშირების და შეტყობინებების სისტემებით. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ორი პარალელური გვირაბი ერთმანეთთან დაკავშირებული იქნება სამი საევაკუაციო, მათ შორის, ერთი სამანქანო გასასვლელით.

დასრულებულ სამუშაოებს ადგილზე გაეცნენ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი ირაკლი ქარსელაძე, შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებული ლევან ხარაბაძე, იმერეთის სახელმწიფო რწმუნებული ზვიად შალამბერიძე, საავტომობილო გზების დეპარტამენტისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები.

ამ დროისათვის, ავტოტრანსპორტი უკვე სარგებლობს რიკოთის ახალი ჩქაროსნული გზის 36 კმ-ით, რომელიც მოიცავს 77 ხიდსა და 43 გვირაბს. რიკოთის უღელტეხილზე, საერთო ჯამში 52 კმ სიგრძის 4 ზოლიანი, ჩქაროსნული გზა 51 გვირაბი და 97 ხიდი შენდება. რიკოთის 51 გვირაბიდან 50 გვირაბი და 97 ხიდიდან 89 ხიდი უკვე აშენებულია. ახალი გზა ითვალისწინებს საგზაო უსაფრთხოების ყველა თანამედროვე სტანდარტს, მათ შორის, განათების სისტემას.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

15 აგვისტოს, გაიმართა გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, საკრებულოს სხდომა, ნინო ლიპარტელიანის თავმჯდომარეობით.

საკრებულოს წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს წარმოდგენილი პროექტები ბიუჯეტის სასიგნებებში განსახორციელებელი ცვლილებების და სატენდერო პროცედურების ხელშეწყობის ოპტიმალურ ვადებში თანადაფინანსების ასახვის მიზნით.

სხდომის ბოლოს, დამსწრეთ მეფეტკრე ფერმერთა ხელშეწყობის სამთავრობო პროგრამის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა სოფლის მეურნეობის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსმა ჯემალ გელაშვილმა.

სოფელ ცხრამუხაში შიდა გზების (ეკლესიამდე მისასვლელი გზა) მოასფალტების სამუშაოები აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს

პროექტი გარდამავალია. ასფალტის პირველი ფენის დაგების სამუშაოები დასრულდება საწყის ეტაპზე, ხოლო მეორე ეტაპი დაიწყება 2025 წლის გაზაფხულზე.

სამუშაოების მიმდინარეობას ადგილზე გაეცნო ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი თენგიზ ჩიტიაშვილი და ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კეთილმოწყობის სამსახურის ხელმძღვანელი გიორგი პაპიაშვილი.

საგზაო სამუშაოები ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება. პროექტის ღირებულება 669 168 ლარს შეადგენს.

პატივი მიაგეს ომის გმირების ხსოვნას

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა, მერის მოადგილე ზვიად გოგუაძემ, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილე ლევან გამრეკელმა, მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს და სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებმა 2008 წლის აგვისტოს ომის გმირების ხსოვნას პატივი მიაგეს.

2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომმა ხაშურის მუნიციპალიტეტიდან სამი ახალგაზრდის სიცოცხლე შეიწირა. ვახტანგ გორგასლის მესამე ხარისხის ორდენის კავალერი -კაპრალი დავით ბლიაძე ქვიშხეთშია დაკრძალული, კაპრალი ზაურ მახარაშვილი, რომელსაც გარდაცვალების შემდეგ მედალი "მხედრული მამაცობისთვის" გადაეცა, მისი მშობლიური სოფლის - ოსიაურის სასაფლაოზე განისვენებს, ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენის კავალერმა კაპრალმა გიორგი წიქარიშვილმა კი სამუდამო განსასვენებელი თბილისის ძმათა სასაფლაოზე ჰპოვა.

გვირგვინებით შეიმკო ხაშურში, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვისთვის დაღუპული მებრძოლების ხეივანი და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის სამშვიდობო მისიებსა და სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული გმირების ხსოვნის მემორიალი.

"ქართველი ხალხი, მისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე, მუდმივად იბრძოდა თავისუფლებისთვის. ეს ბრძოლა დღესაც გრძელდება. აგვისტოს ომის გმირების სიმამაცე და თავდადება სამაგალითოა თითოეული ჩვენგანისა და მომავალი თაობებისთვის", - აღნიშნა თენგიზ ჩიტიაშვილმა.

- ცხადდება ვაკანსია -

მოქალაქეთა საყურადღებოდ!

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი) აცხადებს ვაკანსიას აღმწერის პოზიციაზე 2024 წლის საქართველოს მოსახლეობის და სასოფლო-სამეურნეო აღწერის ფარგლებში.

აღმწერის (ინტერვიუერის) ძირითადი ფუნქციები იქნება მის სამოქმედო ტერიტორიაზე მოსახლეობის აღწერის გამოკითხვის ჩატარება პლანშეტური კომპიუტერით, წინასწარ განსაზღვრული მეთოდოლოგიისა და შემუშავებული პროგრამული უზრუნველყოფის საფუძველზე.

თანამდებობრივი სარგო: 750 ლარი (დარიცხული)

მოთხოვნები:

- ელექტრონული რუკის წაკითხვის, გარკვევის და რუკაზე ორიენტაციის უნარი;
- პლანშეტურ კომპიუტერთან მუშაობის უნარი;
- სასურველია სტატისტიკურ, სოციოლოგიურ კვლევებში და მოსახლეობის აღწერებში მონაწილეობის გამოცდილება;
- ქართული ენის თავისუფლად ფლობა. სასურველია რუსული და ინგლისური ენის საბაზისო ცოდნა;

პერსონალური უნარები:

- მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა;
- ორგანიზებულობა;
- კომუნიკაბელურობა;
- სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი;
- დამატებითი ინფორმაცია:

აღწერის ჩატარების პერიოდში, 29 ნოემბრიდან - 19 დეკემბრის ჩათვლით, საქსტატის მიერ მომზადებული საველე პერსონალი პლანშეტების მეშვეობით, თავიანთ სამუშაო არეალში კარდაკარ მოახდენენ მოსახლეობის გამოკითხვას. საველე პერსონალს ნოემბრის თვეში ჩაუტარდება რამდენიმე დღიანი ტრენინგი შესასრულებელი სამუშაოს, მათზე დაკისრებული მოვალეობებისა და მეთოდოლოგიის საკითხებზე. მოსახლეობის და სასოფლო-სამეურნეო აღწერის ფარგლებში დაქირავებულ პერსონალთან გაფორმდება ერთჯერადი შრომითი ხელშეკრულება მიმდინარე წლის ნოემბრის თვეში. თუ თვლით, რომ შემოთავაზებული სამუშაო თქვენთვის საინტერესოა და ამასთანავე, აკმაყოფილებთ ზემოთ მოყვანილ მოთხოვნებს, გთხოვთ, გადახვიდეთ ლინკზე და შეავსოთ მარტივი სარეგისტრაციო ფორმა:

https://census-cv.geostat.ge/

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დაუკავშირდეთ:

თამუნა აკოფიანი - 577411461

ნიკოლოზ კიკნაძე - 591910049

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ 2024წ.#19,20,21,22,23,24,25, 26,27,28,29)

ასე დამთავრდა აღვირახსნილი მიტინგომანია. მან თავისი შედეგი გამოიღო. ისედაც გონება და გზააბნეული ხალხის ,,მოთხოვნები“ ხელფეხს უხსნიდა ხელისუფლებას ქართველი ხალხის მიმართ სისხლიანი ანგარიშსწორებისაკენ. -
დახვრიტეთ!
- დახვრიტეთ! -
დახვრიტეთ!

სექტემბრის თვის დასაწყისში, ასეთ სურათს წააწყდებოდით ხაშურში:

,,ხაშურში გადმოკიდებულია დატუსაღებულ-დახვრეტილ თავადებისა და მათი ხელისშემწყობთა სია.
აი ეს სიაც:

1. მურვანიშვილი ირაკლი (თავადიშვილი, გამოუსწორებელი კონტრევოლუციონერი);

2. აბაშიძე დიმიტრი (თავადიშვილი, სახელგანთქმული გლეხების აწიოკებითა და დარბევით;

3. ნემსაძე [დავითი] (აზნაური, მშრომელი ხალხის დაუძინებელი მტერი).

4.ბაგრატიონი (მეფის გვარეულობის ჩამომავლობის, გამოუსწორებელი კონტრევოლუციონერი).

5. აბულიანცი [სანდრო](ჩარჩი, მეტსახელათ ,,ბითუმათ“ წოდებული).

6. ფურცელაძე (თავადიშვილი, გლეხობის მოსისხლე მტერი).

7. ორჯონიკიძე პავლე (აზნაური, ყაჩაღი) აფსუს რა კაცის გვარს აფუჭებს);

8. დაბრუნდაშვილი [მიხეილი](სპეკულიანტი);

9. გოლაშვილი მიხა (მღვდელი, გამოუსწორებელი ხალხის მტერი).

10. აბაზაძე მიხეილი (ყოფილი მამასახლისი, გლეხების აწიოკებით სახელგანთქმული). - აბა შეხედეთ, ერთი მუშა ან გლეხი თუ ურევიაწამლათ მაინც, - ამბობს ხალხი.

- ყველა თავადები და მათი ამყოლი, ოხრები და ხალხის შემაწუხებელია და მეტი არავინ.

სადგურზე აუარებელი ხალხი გამოსულა.
ყველგან გაცხარებული ლაპარაკია. ყველას პირზე აკერია მენშევიკების მიერ მოწყობილი დღენაკლული აჯანყების ამბავი.

მე განგებ მინდა ყველგან გავიგონო, ვინ რას ამბობს, ვინ როგორი აზრისაა ამ ამბების შესახებ. ვერსად ვერც ერთ სიტყვას ვერ მოვკარი ყური, რომ ვინმე მათი მადლიერი იყოს, ვინც ეს უბედურების დღე მოაწყო მშრომელი ხალხის მშვიდობიანი ცხოვრების დასანგრევათ“.

მეტად საინტერესოა გორის სამაზრო კომიტეტის 1924 წლის 25 სექტემბრის საიდუმლო ცირკულიარი, რომელიც ადგილებზე დაიგზავნა. მასში ვკითხულობთ:

,,ყველა რაიკომების პასუხისმგებელ მდივნებს, რაიინსტრუქტორებს და ქ. გორის კომუჯრედის ბიუროს პასუხისმგებელ მდივანს:

ამხანაგებო, გორმაზრკომის მიერ დაგზავნილი იყო ცირკულიარები, რომლითაც უნდა ეხელმძღვანელებიათ რაიკომებს ანტისაბჭოთა ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლის დროს. მოხსენებულ ელემენტებთან ბრძოლას არ უნდა გამოეწვია არავითარი ექსცესები, არამედ საწინაამდეგო ზომები უნდა ყოფილიყო მიღებული მაზრკომის დირექტივების მიხედვით. თანახმად იმ ცნობებისა, რომელიც მოეპოება მაზრკომს, ზოგიერთ რაიკომების მიერ ნაკლები ყურადღება ყოფილა მიქცეული მაზრკომის რჩევა - დარიგებებზე, რის გამოც ხშირია შემთხვევები, რომ ადგილობრივ ახდენენ ამხანაგები თვითგასამართლებას, როგორც დამაშავეების, აგრეთვე შემჩნეულ პირებისა. აგრეთვე ადგილი აქვს ისეთ ძალადობას, რომელიც ყოვლად დაუშვებელია საბჭოთა ხელისუფლების დროს, ამიტომ გორმაზრკომი კატეგორიულ წინადადებას აძლევს რაიინსტრუქტორებს (სადაც რაიკომები არ არსებობენ), რომ მათივე პირადი პასუხისმგებლობის ქვეშ მიიღონ შესაფერისი ზომები ყოველგვარ ექსცესების წინააღმდეგ. უკიდურეს შემთხვევაში სასტიკ პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი რაიკომების პასუხისმგებელი მდივნები და რაიინსტრუქტორები.

რაიკომების პასუხისმგებელ მდივნებს და რაიინსტრუქტორებს ევალებათ აცნობონ მაზრკომს ცირკულიარის მიღება და მიღებული ზომების შესახებ.

სამაზრო კომიტეტის მდივანი ა. გიორგაძე
საორგანიზაციო განყოფილების გამგე ან. სიამაშვილი“.
ამაზე იტყვიან, - ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვრბსო“.

სამაზრო ხელისუფლებამ თუ ხაშურში ვერ გაუწია კონტროლი სისხლიან რეპრესიებს, განა გორშიც არ იხვრიტებოდა უდანაშაულო ხალხი? ხომ შეეძლო აქ მაინც თავიდან აეცილებინა ექსცესები, თვითგასამართლებები, ძალადობები და სხვა.

მაგრამ ამაზე მაშინ არავინ ფიქრობდა.

საჭირო იყო ხელისუფლებას ჯერ თვალი დაეხუჭა სისხლიანი რეპრესიების მიმართ, თავისი ჩანაფიქრი აესრულებია და მერე როცა საწადელს მიაღწევდა, რა თქმა უნდა პასუხისმგებლობასაც დააკისრებდა ვიღაცას, თუნცა ,,სასტიკ პასუხის გებაში“ არავინ იქნებოდა მიცემული.

ნინო ყიფიანის ამბავი

100 წელი - 1924 წლის აჯანყებიდან

როგორც ჩანს, ძალზე სერიოზული ხასიათი მიიღო თავადაზნაურთა დევნამ. ამაზე მიგვითითებს 1924 წლის 24 ოქტომბრის სურამის რაიაღმასკომის მუშაობის ანგარიშში აღნიშნულ პრობლემაზე საუბარი: ,,და ბოლოს უნდა აღვნიშნო, რომ მენშევიკურმა ავანტურისტულმა მოქმედებამ საქართველოში ძალიან იმოქმედა გლეხობაზედ, რამაც გამოიწვია სოფელ ქვიშხეთიდან 24 კომლის თავად-აზნაურების გამორეკვა, სოფელ ტეზრიდამ 21 კომლის აზნაურების გამორეკვა, რომლების ქონებაც, გარდა იმისა, რაც მათ შესძლეს წამოიღეს, დალუქულია და ველით სამაზრო ცენტრის განკარგულებას, - როგორ მოვიქცეთ. თუმცა, როგორც პარტიულმა კომიტეტმა, ისე აღმასკომმა ყოველგვარი ზომები მიიღო გლეხების დასამშვიდებლად, მაგრამ ასეთი ვერ შესძლო და ვერ შეაჩერა გლეხების ლტოლვა კნიაზების მიმართ“.

1924 წლის 13 ოქტომბერს, საქართველოს სახალხო განათლების კომისარს მწერალთა კავშირის (ხელოვანთა კავშირი) ხელმძღვანელობა შემდეგ მიმართვას უგზავნის: ,,თანახმად ჩვენ მიერ მიღებული ცნობებისა, სოფ. ქვიშხეთში დაწყებულია აზნაურთა დევნა. ყოველ შემთხვევისთვის საჭიროა თქვენი განკარგულება, რათა ხელოვანთა კულტურულ კავშირის სახლი (ყოფილი დიმიტრი ყიფიანის) დაცულ იქნას ავეჯეულობით და რემონტისათვის დამზადებული მასალით“ .

სანამ მომდევნო თვეების ანგარიშს გავეცნობით, ქვიშხეთში მომხდარ ინციდენტზე უნდა შევჩერდეთ. ქვიშხეთი დიმიტრი ყიფიანის მამულია. აქ ჰქონდა სახლი, რომელიც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, მისი შვილის, ცნობილი მსახიობისა და საზოგადო მოღვაწის კოტე ყიფიანის ქვრივმა, მწერალმა და მთარგმნელმა ნინო ყიფიანმა სახელმწიფოს გადასცა. რომ არა ასე, შენობა გაპარტახდებოდა, სამუდამოდ დაიკარგებოდა საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფურცელი, რომელიც დიდ დიმიტრი ყიფიანზე მოგვითხრობდა. სახლთან დაკავშირებული პერიპეტიები ცალკე საუბრის თემაა, ამჯერად ნინო ყიფიანის თავს დატრიალებულ ამბავზე უნდა შევჩერდეთ.

უნდა შევნიშნოთ, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ხელისუფლების მხრიდან საზოგადოების ერთი ნაწილი სათანადო ყურადღების ქვეშ აღმოჩნდა. მაგრამ იყვნენ გამონაკლისები, რომლებიც ამ ყურადღების მიღმა დარჩნენ. ერთ-ერთი ასეთი ნინო ყიფიანია. აბა სხვას რას უნდა მივაწეროთ მისი წერილი ზაქარია ჭიჭინაძისადმი. წერილი1922 წლის 5 ივლისით არის დათარიღებული. წერილით ცნობილი ხდება, რომ ნინო ყიფიანი საზოგადოების იმ ნაწილში აღმოჩნდა, რომლებიც ხელისუფლების ყურადღების მიღმა დარჩნენ. უმჯობესია თავად ნინო ყიფიანს მოვუსმინოთ:

,,მეორე წელიწადია, მას შემდეგ, რომ მითხარით, ფილიპემ ყურადღებით მოისმინა თქვენი გაჭირვება და დაგიბარათ თავისთან პენსიის გადიდების შესახებო. იმ დღიდან ვითომც ჯიბეში მდებოდეს მიღებული დახმარება, ისე მჯეროდა ეს ფილიპესაგან, იმ ფილიპესაგან, რომლის მოღვაწეობის თანამედროვე მეც ვიყავი კულტურულ მუშაობაში, რომელიც უფრო შევიდოდა ჩემი ოჯახის ღვაწლის შეფასებაში, ვიდრე რომელიმე სხვა, ახლად გამოჩეკილი მოღვაწე. მაგრამ იმდენი მოლოდინის შემდეგ კი განიფანტა ეს რწმენა და დავრჩი ისევე გაჭირვებული; ხოლო ამას დაემატა ღრმა ტკივილი გულისა, რომ ასე არაფრად ჩამაგდო ფილიპემ, მომიყვანა თავისთან, თითქო დამიყვავა ისეთს ყოფაში ჩავარდნილს, დამპირდა და ჩალაგამოვლებული დამტოვა! რამდენმა კი მიიღო იმის შემდეგ მისგან დახმარებაც და პენსიის გადიდებაც!

გარდა ამისა, ერთი სიტყვით, არ დამეხმარა თოდრიასთან, რომელმაც ისე შემთათხა, როგორც უკანასკნელი ადამიანი და არც მაძლევს საშუალებას თავშესაფარი მქონდეს ზაფხულში. ფილიპეს, რომ ეთქვა ჩემზე, ნათქვამიდან ამას მაინც შეიგნებდა თოდრია, რომ მე მისგან ასე მოსაპყრობი არ ვიყავი. ან კანონიერების ასეთი შელახვითა და პიროვნების ასეთი აგდებით აღშფოთებულს, ვგრძნობ, რომ მტკვარი თუ გამიკითხავდა და ბარემ ამ მათხოვრობიდანაც გამომიყვანდა, მაგრამ ვაი, რომ სამძიმოდ მიმაჩნია, ზაქარია, ამ სამარცხვინო საქმის ჩადენა!

თქვენზე კარგად ვინ იცის, ზაქარია, რომ მე უმაქნისი ადამიანი არ ვიყავი ჩვენი ხალხისთვის. მოგმართავთ ისევ თქვენ, რომელსაც შესვლა მაინც შეგიძლიათ ფილიპესთან, ორმოცი სულთამხუთავი არ დაგეჭიდებათ უკან, როგორც მე. მოაგონეთ ფილიპეს მისი ნათქვამი ჩემს შესახებ: ,,არც დამვიწყებია და არც დავსტოვებო“. მე მაინც არ მჯერა საბოლოოდ, რომ ფილიპემ დაივიწყა ჩემი კოტე, რომლის აჩრდილი, იქნებ, თავს დასტრიალებს და დასტირის ჩემს ასეთ სავალალო ყოფას.

მიდით, ეს ერთი კიდევ დაგეფიცებით, ზაქარია, ჩემი კოტეს ხსოვნას, რომ ეს უკანასკნელი იქნება ჩემი თხოვნა ფილიპესთან“.

წერილის შინაარსიდან ირკვევა, რომ ნინო ყიფიანის წინააღმდეგ უკვე დაწყებულია გარკვეული რეპრესიული ღონისძიებები. ავტორი მძიმე მატერიალურ მდგომარეობაშია. ხელისუფლების პირველი პირებიც ფლობენ ამის შესახე ინფორმაციას, მაგრამ დახმარება არ ჩანს. ამას გარდა მას უფლება არ აქვს ზაფხულობით ქვიშხეთში თავის კარ-მიდამოში იყოს და აქ დაისვენოს. სიტყვები, რომ ს. თოდრია ,,...არც მაძლევს საშუალებას თავშესაფარი მქონდეს ზაფხულში“, სწორედ ამის დასტურია.

თუმცა ეს არაფერია იმასთან, რაც ნინო ყიფიანს დაატყდა თავს. ქვიშხეთიდან თავად-აზნაურების ,,გამორეკვის“ ფაქტს უნდა ეხმაურებოდეს ნინო ყიფიანის დაპატიმრება. 1924 წლის 20 სექტემბერს, საქართველოს განათლების სახალხო კომისარი აცნობებდა საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს ნინო ყიფიანის დაპატიმრების ამბავს და შუამდგომლობდა მის გათავისუფლებაზე.

,,სოფელ ქვიშხეთში, - ნათქვამია მიმართვაში, - დატუსაღებულ იქნა დამსახურებული მსახიობის, კოტე ყიფიანის ქვრივი მწერალი ქალი ნინო ყიფიანისა, როგორც ყოფილი მემამულე. ამჟამად იგი იმყოფება ტუსაღად ქ. ხაშურში. ხსენებული ნ. ყიფიანისა არის საქართველოს ხელოვანთა კულტურული კავშირის კუთვნილი სახლის გამგე.

მოგახსენებთ რა ამას, ვშუამდგომლობ მოახდინოთ სათანადო განკარგულება, რათა ნინო ყიფიანისა განთავისუფლებულ იქნეს“.

ნინო ყიფიანი, ბრალდებით, - ,,როგორც ყოფილი მემამულე“, - დაუპატიმრებიათ. კიდევ კარგი დიმიტრი ყიფიანი ვერ შეესწრო ამ ამბავს, მერე უნდა გენახათ ვის დააპატიმრებდნენ ,,ყოფილი მემამულის“ ბრალდებით.

იმავე წლის 24 დეკემბერს სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა: ,,გორის მაზრის სოფ. ქვიშხეთში არსებული მსახიობ კ. ყიფიანის ყოფილი მამული გადაიცეს განათლების სახალხო კომისარიატის განკარგულებაში და იქნეს საქართველოს მწერალთა კავშირის სარგებლობაში, ხოლო კ. ყიფიანის ქვრივს კი მიეცეს საშუალება იცხოვროს აღნიშნულ სახლში“.

თითქოს ყველაფერი დამთავრდა, დიმიტრი ყიფიანისეულ სახლს და კარმიდამოს პატრონი გამოუჩნდა. მის რძალს, - ნინო ყიფიანსაც შესაძლებლობა მიეცა ეცხოვრა აღნიშნულ სახლში... მაგრამ ყოველთვის,

(გაგრძელება IV გვერდზე)

100 წელი - 1924 წლის აჯანყებიდან

(გაგრძელება იქნება)

ნებისმიერ წინადადების ბოლოში თავისუფლად შეიძლება დაისვას ერთი სიტყვა, მაგრამ... არც ნინო ყიფიანის შემთხვევაა ამ მხრივ გამონაკლისი...

1926 წლის 18 მაისს დაიწერა ქვიშხეთის თემის აღმასკომის მიერ სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირზე დამსახურებული მსახიობის კოტე ყიფიანის ყოფილი ქონების (სახლი და კარმიდამოსი) გადაცემის ოქმი...

სირცხვილი მქეჯნის, მაგრამ მაინც უნდა ითქვას...

ოქმის მე-7 პუნქტი ასეა ჩამოყალიბებული: ,,სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭო, თანახმად ქვიშხეთის საზოგადოების მოთხოვნილებისა, აძლევს პირობას სოფელ ქვიშხეთის აღმასკომს, რომ ამ მამულში არ იქნება დაშვებული ნინო ბეჟანის ასული ყიფიანისა.

მე-8 პუნქტში კი ნათქვამია: ,,ნივთები, რომელიც საქართველოს ცაკ-მა მიაკუთვნა ნინო ბეჟანის ასულს ყიფიანისას, უნდა იქმნეს გამოცხადებული მწერალთა სახლის საკუთრებათ უკე-თუ ნინო ბეჟანის ასული ყიფიანისა ივნისის 1-მდე არ გაიტანს ზემოთ დასახელებულ სახლიდან“.

ოქმს ხელს აწერენ:

ს. ქვიშხეთის მხრიდან - აღმასკომის თავმჯდომარე ვანო ბარბაქაძე, აღმასკომის წევრი ილი ქალიაშვილი.

სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის მხრიდან საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ჟ.ღოღობერიძე.

სხვა, უფრო მძიმე შედეგით, რომ არ დამთავრდა ,,ყოფილი მემამულის“ - ნინო ყიფიანის ცხოვრება, ამაზეც მადლობა უნდა ეთქვა ხელისუფლებისათვის, რომ იტყვიან, ბეწვზეა გადარჩენილი...

მაინც რა მოხდა სინამდვილეში ხაშურის რაიონში და რას შეეწირნენ ადამიანები? რამ ააფორიაქა ხელისუფლება?

ოფიციალური დოკუმენტები თუ გასცემენ აღნიშნულ კითხვებს პასუხს. თანაც ეს პასუხები უფრო სანდო უნდა იყოს, ვიდრე გაუთავებელ მიტინგებზე ხელისუფლების მიერ საზოგადოებაზე თავს მოხვეული პათოსი.

აგვისტოს აჯანყების დღეებში და მას შემდეგ, უკვე ისტორიის კუთვნილებად ქცეული აჯანყების შესახებ, მუნიციპალიტეტში შექმნილი მდგომარეობის შესახებ სისტემატურად ხდება ინფორმაციის მიწოდება ზემდგომ ორგანოებში. ამ შემთხვევაში გორის სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტში.

მომდევნო თვეებშიც იგზავნება ადგილებიდან სამაზრო ცენტრში ანგარიშები შექმნილი მდგომარეობის შესახებ. ჩანს, რომ არანაირ ამბოხს, ან თუნდაც უმნიშვნელო მშვიდობიან პროტესტს ჰქონდა ადგილი რაიონში, მაგრამ... ოჰ, ეს ისევ მაგრამ...

1924 წლის 30 ნოემბრის სურამის რაიაღმასკომის მუშაობის ანგარიშში ი. აბრამაშვილი აღნიშნავდა:

,,საერთო მდგომარეობა რაიონშიდ კარგია, რაც აიხსნება იმით, რომ გლეხობაშიდ სულისკვეთება მიმართულია საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებაში. ქურდობასა და ასეთ ცუდ მოვლენას ადგილი არ ჰქონია, თუ არ მივიღებთ მხედველობაში სოფ. ტეზერში სოფლის მიერ გამოძევებულ აზნაურ ზალიკო ორჯონიკიძის მოკვლას, რის მიზეზათაც უნდა ჩაითვალოს ის, რომ მას აკრძალული ჰქონდა სოფელშიდ სიარული და ამისდა მიუხედავად იგი მოჰკლეს სოფელშიდ მისული, რის უფლებაც მას არ ჰქონდა და გაღიზიანებულმა გლეხებმა ვერ მოითმინეს აღნიშნული შეუპოვრობა...“.

გომის რაიონის აღმასკომის ანგარიშიდან, 1924 წლის 1 ივლისიდან 1 ოქტომბრამდე:

,,სამწუხარო მოვლენის დროს, როდესაც იყო ბანდიტური გამოსვლები 28 აგვისტოს ა.წ.საჭიროება მოითხოვდა კომუნარების ფეხზე დაყენება და ესეც მოვიქეცით, გვყამდა ასსამოც კაცამდე თოფქვეშ. ამ დროს მათი შენახვისათვის დაიხარჯა ოთხმოც ჩერნოვეცამდე. ეხლა ვეძებთ გამოსავალ გზას, თუ რომელი თანხიდან გადავიხადოთ. იმედია სამაზრო აღმასკომი გამოგვინახავს გამოსავალ გზას, საიდანაც იქნება განაღდებული ეს თანხა და არ დაატყდება კოპერატივებს“.

1924 წლის 1 ოქტომბრიდან 20 ოქტომბრამდე, თავმჯდომარე ალექსანდრე ცხოვრებაშვილი:

,,პოლიტიკური მდგომარეობა რაიონში დამაკმაყოფილებელია უღარიბეს და საშუალო გლეხებით. რაც შეეხება ყოფილ კულაკებს, რომლებსაც ჩამოერთვათ ზედმეტი მამული, მათ ეტყობათ ცოტა უკმაყოფილება, რაც თანდათან ქარწყლდება“.

1924 წლის 20 ოქტომბრიდან 20 ნოემბრამდე:

,,რაიონში პოლიტიკური მდგომარეობა უმჯობესდება. სასურსათო გადასახადი შემოაქვთ დანიშნულ დროზე. გადასახადზე არცერთი გლეხი არ ყოფილა დაპატიმრებული. ხელისუფლებას უყურებენ კარგათ და შეგნებულათ“.

1924 წლის 20 დეკემბრიდან 1925 წლის 20 იანვრამდე:

,,პოლიტიკური მდგომარეობა რაიონში კარგია. გლეხობა შეგნებულათ უყურებს საბჭოთა ხელისუფლებას და კმაყოფილია არსებულ წესწყობილებით. არის მცირედი უკმაყოფილენი, რომელთაც მიწები ჩამოერთვათ, მაგრამ ეს უმნიშვნელოა“.

1925 წლის 20 იანვრიდან 20 თებერვლამდე:

,,პოლიტიკური მდგომარეობა თემში კარგია. უღარიბესი და საშუალო გლეხობა დიდი უმრავლესობით გვითანაგრძობს ჩვენ, ხელისუფლებას, გარდა გამონაკლისისა, ე.ი. მოკულაკო ელემენტებისა“.

1925 წლის 20 თებერვლიდან 20 მარტამდე:

,,პოლიტიკური მდგომარეობა თემში კარგია, უღარიბესი და საშუალო გლეხობა დიდი უმრავლესობით უთანაგრძობენ ჩვენს ხელისუფლებას გარდა გამონაკლისის, ე. ი. მოკულაკო ელემენტებისა“.

სტაბილური მდგომარეობაა ხაშურის თემში. რაიაღმასკომის თავმჯდომარის ალექსანდრე ცაბაძის სამთვიურ ანგარიშში, რომელიც მოიცავს პერიოდს - 1924 წლის ივლისი-აგვისტო-სექტემბერს, ნათქვამია:

,,ხაშურის რაიონი პოლიტიკურად სავსებით დამაკმაყოფილებელია, მთელი მუშები, გლეხები და მშრომელი ინტელიგენცია გაჟღენთილია კომუნისტური, რევოლუციონური სულისკვეთებით, მთელი თავისი ძალღონით ცდილობს ხელი შეუწყოს საბჭოთა ხელისუფლებას და ყოველ წუთში მზად არის ჩადგეს კომუნისტურ რიგებში მჭიდროდ ხელი-ხელ ჩაკიდებული გასწიოს საბჭოთა ხელისუფლების საკეთილდღეოდ, ყოველგვარი პატიოსშრომელი ხალხიანი და დაუღალავი შრომა, მომხდარ ამბების დროს, მათ ეს ნათლად დაგვანახვეს.

რაიონში არავითარ ცუდ მოვლენებს ადგილი არ აქვს, მშრომელი ხალხი სრულად დამშვიდებული კვლავ განაგრძნობს მშვიდობიან ცხოვრებას“.

სურამელი ირაკლი ცაგურიას ამბავი

საზოგადოებრივ ცხოვრებაში ყველა მოვლენას გამორჩეული გმირები, ადამიანები ჰყავს. 1918 წლის 26 მაისის საქართველოს ერთ-ერთი ასეთი გამორჩეული გმირია პოლკოვნიკი ირაკლი ცაგურია. იგი 1892 წელს დაიბადა სურამში. XX საუკუნის 10 - იანი წლებიდან სამხედრო სამსახურშია. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ დამოუკიდებელი საქართველოს სამსახურში ჩადგა, როგორც სამხედრო საქმის მცოდნე და ორგანიზატორი, თავი გამოიჩინა სამხედრო ოპერაციებში. 1921 წლის თებერვალ-მარტში იბრძვის საქართველოს დამოუკიდებლობისათვის... ემიგრაციაში არ მიდის, იმყოფება საქართველოში. 1924 წლის აგვისტოს აჯანყების დღეებში, კონკრეტული დავალება აქვს, - თბილისზე გალაშქრება, მაგრამ უკვე დამარცხებისთვი განწირული აჯანყება ამის საშუალებას აღარ იძლევა. მარცხის შემდეგ ემიგრაციაში მიდის, სადაც 1969 წელს გარდაიცვალა.

ი. ცაგურიამ ემიგრაციაში გამოაქვეყნა წერილი ,,საქართველო გოლგოთის გზაზე“, რომელშიც საინტერესოდ არის გადმოცემული XX საუკუნის 20 - იანი წლების პირველ ნახევარში საქართველოში დატრიალებული მოვლენები, ვრცლად ეხება აგვისტოს მოვლენებს. ავტორი არ ივიწყებს აგვისტოში სურამში შექმნილ მდგომარეობას.

,,საყოველთაო აჯანყება სასტიკი რეპრესიებით იქნა ჩახშობილი. საქართველო სისხლში ცურავდა. ბოლშევიკები შურს იძიებდნენ ერზე, რომელმაც გაბედა და სულისშემხუთველი უღლის გადაგდება და თავისუფლების მოპოვება სცადა“ - წერს ირაკლი ცაგურია ზოგადად საქართველოში აგვისტოს აჯანყების შემდეგ შექმნილ მდგომარეობაზე. რაც შეეხება ქართლსა და კონკრეტულად სურამში შექმნილ მდგომარეობას, ავტორი წერს:

,,ქართლი განსაკუთრებით იყო შევიწროვებული ბოლშევიკთა ბატონობით. ამ რეგიონში ქართველებთან ერთად ცხოვრობენ სომეხი ლტოლვილები, რომელიც ქართველებმა ჩვეული სტუმართმოყვარეობით შეიკედლეს, აგრეთვე ჩრდილო კავკასიიდან მოსული ოსები. სწორედ ამ ორი ეროვნების წარმომადგენლებში ეძებდნენ ბოლშევიკები ერთგულ მსახურებს. ისინიც, გაამაყებულები, ბოროტად იყენებდნენ მინიჭებულ უფლებებს. უცხოელთადმი დამორჩილება ქართველთა ეროვნულ სიამაყეს ლახავდა. ცარიზმი ყოველთვის ცდილობდა, სიძულვილი გაეღვიძებინა კავკასიის ხალხთა შორის, გაეთიშა ისინი. რათა უკეთ ებატონა. საბჭოთა ხელისუფლებაც ცარიზმის ამ პოლიტიკას აგრძელებდა. ისინი უფრო შორსაც წავიდნენ: ოსებს ეგრეთწოდებული ეროვნული დამოუკიდებლობა მიანიჭეს და ქართველთა კუთვნილი და ქართველებით დასახლებული მიწები აჩუქეს. ქართველი გლეხები, ბუნებრივია, არ მოელოდნენ ვერაგობას იმათგან, ვინც სტუმართმოყვრულად მიიღეს. ამ უცხოელებს გადასცეს ქართველი გლეხებისათვის ჩამორთმეული ქონება. მათმა ტყვიამ კი ათასობით ქართველი იმსხვერპლა. უამრავმა ოჯახმა ჩაიცვა შავები. ქართველმა გლეხმა ვერ შეძლო ყოველივე ამის დავიწყება. იგი დახოცილ ძმებზე შურისძიებისაკენ მოუწოდებს. ადრე თუ გვიან, ეს მოწოდება ხელახალი ამბოხებით დაგვირგვინდება.

ბოლშევიზმის აგენტთა დანაშაულობები ენით აუწერელი სისასტიკისაა. აქ მხოლოდ მათი ,,ჰუმანურობის“ სიმბოლურად გამომხატველ რამდენიმე ფაქტს დავასახელებ. ამ სტრიქონების წერისას, ქართველ წამებულთა ტანჯვას რომ ვიგონებ, ხელი მიკანკალებს და ძარღვებში სისხლი მეყინება.

ქურდაძემ, ამჟამინდელმა გორის ოლქის საგანგებო კომისარმა, სოფელ ოსიაურში ორი საგვარეულო ამოაწყვეტინა: ვეზირიშვილები და ფალავანდიშვილები. ჯერ შეშინებული ქალებისა და ბავშვების თვალწინ მამაკაცები მოაკვლევინა, შემდეგ კი ბრძანება გასცა, ყველანი დედაბუდიანად ამოეჟლიტათ, ძუძუთა ბავშვებიც კი არ დაენდოთ. დახოცილი გვამები ბოსლებში შეყარეს და დამშეულ ძაღლებს დააგლეჯინეს.

მოსახლეობის შემდეგ რისხვა თავს სამღვდელოებას დაატყდა. ორმოცი მღვდელი, მათ შორის სამი დეკანოზი - ხოსე ბებიაშვილი, ციციკაშვილი და შველიძე - სამოცდათხუთმეტი - ოთხმოცი წლის მოხუცებულები, დაიჭირეს და გორის ციხეებში დახვრიტეს.

აი, ერთი მღვდლის მონათხრობი, რომელიც სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს: ,,მტერმა ხელ-ფეხი შეგვიკრა და მიწაზე დაგვყარა. განძრევა არ შეგვეძლო. სიკვდილს ველოდით. ციხეში მომუშავე სომხები და ოსები დამცინავად გვიყურებდნენ. ეს ტანჯვა იმიტომ გვერგო, რომ ანაფორები არ გავიხადეთ და ქრისტეს სამარადისო ერთგულება შევფიცეთ. შიმშილისაგან მუცელი გვგვრემდა, წყურვილისაგან ყელი გვიშრებოდა. ციხის მცველი შარდითა და განავლით სავსე სათლს მოაჩოჩებდა ჩვენსკენ და ურცხვი დაცინვით იმეორებდა ქრისტეს სიტყვებს: ,,მიიღეთ და ჭამეთ, ესე არს ხორცი ჩემი, სვით ამისგან ყოველთა, ესე არს სისხლი ჩემი“.

თამაზ ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

სოსო გელაშვილი - იმაზე დიდი და სასიამოვნო შეგრძნება - გადაარჩინო ადამიანი, არ არსებობს...

ალბათ, არ არსებობს ექიმობაზე ჰუმანური პროფესია-თუ ადამიანები არ გიყვარს, რთულია, მთელი თავგანწირვით ჩაერთო სიცოცხლისთვის ბრძოლაში, იმარჯვებდე, ხან აგებდე კიდეც. იმაზეც ვთანხმდებით, რომ ადამიანი ბიოლოგიური მოცემულობაა და ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე, სხვადასხვა ჩივილებით გვიწევს, საკუთარი თავი ვანდოთ მედიცინის მუშაკებს და იშვიათად ვფიქრობთ, რამხელა შრომა და პასუხისმგებლობაა, სუფთად დაუთოვებული და გაპიწკინებული ხალათის უკან. ჩვენი რესპონდენტის წარდგენა, ერთგვარი უხერხულობაც კია ჩემი მხრიდან, რადგან ექიმ სოსო გელაშვილს, მადლიერ პაციენტთა მთელი არმია უდგას უკან. ხაშურში დაბადებული, ხუთი წელია, საკუთარ ქალაქს დაუბრუნდა და ხელჩართულ

ბრძოლაში ჩაერთო ჩვენი მოქალაქეების სიცოცხლის გადასარჩენად. ბატონი სოსო, კლინიკა „გორმედის“ ქირურგიული დეპარტამენტის ხელმძღვანელია, სირთულეების მიუხედავად, არასდროს უნანია არჩევანი, რომელიც ადამიანების სასიკეთოდ მიიღო.

-ბატონო სოსო, როგორ შემოვიდა მედიცინა თქვენს ცხოვრებაში? ოჯახში იყო ამის გამოცდილება?

-ოჯახში, არა თუ მსგავსი გამოცდილება, კატეგორიული წინააღმდეგებიც კი იყვნენ, სამედიცინო მიმართულებით წავსულიყავი. ბაბუაჩემს ჰქონდა სიმსივნის დიაგნოზი, მერვე კლასში ვიყავი, ოპერაციაზე რომ დამასწრეს, მაშინ მივიღე გადაწყვეტილება, ადამიანების დახმარება, ჩემს მთავარ საქმედ მექცია-შემდეგ უკვე, დიდი სიყვარულიც მოვიდა. ზოგადი ქურურგია ავირჩიე და გზა, რომელიც გავიარე, ბევრი სირთულის მიუხედავად, არასდროს მინანია.

-გაცნობიერება და ექიმის პასუხისმგებლობის შეგრძნებები როდის მოვიდა?

-პასუხისმგებლობები უკვე მესამე კურსიდან დაიწყო, როცა უშუალო შეხება დავიწყე პაციენტებთან და ქირურგიის მთელი სპეციფიკა გავიგე-პაციენტის ღალატი არ შეიძლება, ბოლომდე უნდა იბრძოლო, იმის მიუხედავად, როგორია მისი ჯანმრთელობის პერსპექტივა. 1996-წლიდან უკვე რესპუბლიკურ საავადმყოფოში ვმუშაობდ, სანამ ხაშურში არ ჩამოვედი.

-პირველი ოპერაცია, ალბათ, ყველაზე კარგად გახსოვთ...

- პირველი ოპერაციის ემოციებს ალბათ, ვერაფერს შევადარებ. გარდა პასუხისმგებლობის, რომელიც მქონდა, ეს იყო უდიდესი შეგრძნებების მომენტი და მახსოვს, ოპერაციიდან რომ გამოვედი, მეგონა, ყველა მიცნობდა, არადა, მარტივი ოპერაცია იყო, აპენდიციტის. სხვათა შორის, ეს ოპერაცია ხაშურში ჩატარდა. ამის შემდეგ, კუჭის წყლულის პერფორაცია გავაკეთეთ და უკვე მივხვდი, იმაზე დიდი და სასიამოვნო შეგრძნება, გადაარჩინო ადამიანი, არ არსებობს.

-დამეთანხმებით, თქვენი ექიმობის წლები, ყველაზე მძიმე პერიოდია ჩვენი ქვეყნისთვის და ეს შეეხო ყველა დარგს, ყველაზე მეტად, ჯანდაცვის სფეროს. არ გქონდათ პერიოდები, როცა ინანეთ პროფესიული არჩევანი?

-არასდროს მინანია, იგივე არჩევანს გავაკეთებდი და იგივე გზას გავივლიდი, მიუხედავად ბევრი სირთულის. მიყვარს ადამიანები, ესაა ჩემი მთავარი მოტივაცია.

-თქვენი პროფესიული გამოცდილება, მხოლოდ საქართველოს არ უკავშირდება და მიუხედავად პერსპექტივების, მაინც ქვეყანას დაუბრუნდი. რა იყო ამის მიზეზი?

-რესპუბლიკურ საავადმყოფოში ვიმუშავე მრავალი წლის განმავლობაში, შემდეგ ევროპის რამდენიმე ქვეყანა, საფრანგეთი, გერმანია, თურქეთი და ბოლოს, სამხრეთ კორეაში ღვიძლის ტრანსპლანტაციაზე ვმუშაობდი და ვსწავლობდი. თუმცა, იქ დარჩენაზე უარი ვთქვი, რადგან პრიორიტეტად ჩემი ოჯახი და ქვეყანა დავაყენე და გადავწყვიტე, ჩემი გამოცდილებით დავხმარებოდი. ღვიძლის ტ რ ა ნ ს პ ლ ა ნ ტ ა ც ი ე ბ ი პირველად ჩვენ გავაკეთეთ საქართველოში, 2015 წლიდან და პაციენტების უმრავლესობა, დღესაც ცოცხალია. თუმცა, მედიცინაში, ყოველთვის გამარჯვებული ვერ იქნები.

- დამარცხება რა შეგრძნებაა?

-უდიდესი ტკივილია, ექიმიც კვდება.

- რ ა მ დ ე ნ ჯ ე რ „გარდაცვლილხართ?“

-მქონია ეგეთი შეგრძნებები, საბედნიეროდ, ხშირად არა. წარმოუდგენელი განცდაა, რომ ვერ უშველე. მერე გხსენდება მადლიერი, გადარჩენილი პაციენტები და ხვდები, რომ საჭირო ხარ და ისევ ებმები სიცოცხლის გადარჩენის ფერხულში. სამწუხაროდ, ჩვენთან დაავადებების პრევენციის კულტურა არაა და პაციენტები, შორსწასული ფორმებით მოგვმართავენ, სწორედ აქ შეიძლება მოხდეს ფატალური შემთხვევები. აქვე, უნდა აღვნიშნო ის პრობლემა, რაც ჯანდაცვის კულტურას ეხება. ბევრი უფასო პროგრამებია, სკრინინგები, სადაც ადამიანებს აქვთ შესაძლებლობა, ადრეულ ვადებზე აღმოაჩინონ პათოლოგია და უფრო მარტივად მოაგვარონ პრობლემა. როცა ჩვენი საავადმყოფო აცხადებს უფასო კვლევებს, ძალიან ცოტა ადამიანი სარგებლობს ამით, რაც ძალიან სამწუხარო შედეგს გვაძლევს სამომავლოდ.

ც ჰეპატიტის პროგრამა, რომელიც მსოფლიოში ჩვენს გარდა, მხოლოდ ერთ ქვეყანას აქვს, ფასდაუდებელია ჩვენი მოქალაქეებისთვის და ბევრ ადამიანს მისცა შესაძლებლობა, გადარჩენილიყო.

-ყველაზე რთული ოპერაცია, თქვენი პრაქტიკიდან?

-ყველაზე რთული, ალბათ, მაინც ღვიძლის ტრანსპლანტაცია იყო, თუმცა, იყო ისეთი სირთულის ოპერაციები, სანაღვლე-სადინრის სიმსივნეები, რომელიც ხაშურში გაკეთდა, საყლაპავის რეზექცია, პანკრიასის თავის სიმსივნე, თითქმის ყველა ოპერაციას თავისი სირთულე აქვს.

-ხაშურში, ყველაზე ხშირად, რა ჩივილებით მოგმართავენ?

-ვინც მოდის, ფაქტობრივად, შორს წასული ფორმებია. ძ ი რ ი თ ა დ ა დ , ქირურგიული ჩივილებით მოდიან, სანაღვლე გზები, ნაღვლის ბუშტი, ნაწლავები, სიმსივნეები ძალიან ხშირია. ყველა ოპერაციას ადგილზევე ვაკეთებთ, შესაბამისი ტექნიკური ბაზა გვაქვს, განახლება მიდის სისტემატურად, მხოლოდ ღვიძლის რეზექციას და რამდენიმე ოპერაციას ვერ ვაკეთებთ. სიამაყით მინდა ვთქვა, რომ სამედიცინო პერსონალის რესურსი უდიდესი აქვს ქვეყანას. გარდა ამის, ძალიან ვამაყობ იმ ფაქტითაც, რომ ხაშურს ძალიან ბევრი კარგი ექიმი ჰყავს და ვამაყობ ჩემი კოლეგებით.

-ექიმებს, გარდა მძიმე შემთხვევების, ისეთი შემთხვევები გაქვთ, რაც კურიოზულია. დარწმუნებული ვარ, ასეთი იუმორისტული შემთხვევები თქვენს პრაქტიკაშიც ბევრი იქნებოდა.

-სვანი პაციენტი მყავდა, ოპერაციის შემდეგ, ახლობლებს ვთხოვე, ეტარებინათ, რომ გააქტიურებულიყო და თავიდან აგვეცილებინა გართულებები. შაბათ-კვირა ემთხვეოდა. კვირას შემოწმებაზე რომ მივედი, რას ვხედავ, საწოლი გვქონდა, რომელიც 500 კგ-მდე იწონიდა, ექვსი სვანი, საწოლს დაატარებდა პალატაში, პაციენტიანად. ასეთი სახალისო ისტორიები, ძალიან ბევრია ყველა ექიმის პრაქტიკაში.

- რას ურჩევდით მოსახლეობას ჯანმრთელი და ხანგრძლივი სიცოცხლისთვის?

-ტკივილი არის სიმპტომი, რომელიც არის სიგნალი, რომ ჩვენს ორგანიზმში ყველაფერი რიგზე არაა. ერთ ტკივილს მეორე მოჰყვება და ასე იქმნება მანკიერი წრე, რომლის გასწორებაც მერე ძალიან ძნელია. დროული მიმართვა და პრევენცია არის ხანგრძლივი, ჯანმრთელი ცხოვრების საწინდარი.

გვიხარია და იმედიანად ვართ, რომ ბატონი სოსოს და მისი კოლეგების პროფესიონალიზმი, გვაძლევს მშვიდად ყოფნის საშუალებას, რომ საჭიროების შემთხვევაში, ჩვენი სიცოცხლის დასაცავად, პროფესიონალთა გუნდი ძალისხმევას არ დაიშურებს.

თ. ჯავახიშვილი

„ოქროს ფარი“ იტალიიდან გამარჯვებული დაბრუნდა

იტალის ქალაქ რამინში, 2 აგვისტოს, ფოლკლორული კონკურსი გაიმართა, საიდანაც ხაშურის ბავშვთა დამსახურეული სახალხო ქორეოგრაფიული ანსამბლი „ოქროს ფარი“ გამარჯვებული დაბრუნდა. 14 დღიანი გასტროლიდან ანსამბლმა მშობლიურ ქალაქში 1 ადგილი ჩამოიტანა. კონკურსზე 7 ქვეყნის ანსამბლების 42 ქორეოგრაფიული ნომერი იყო წარმოდგენილი. აქედან, გალა კონცერტისთვის 6 საუკეთესო ნომერი შეირჩა, მათ შორის იყო „ოქროს ფარის“ ქორეოგრაფიული ნომერიც. „ეს იყო ენით აუწერელი ბედნიერება... გალა კონცერტის შემდეგ გაიმართა

დაჯილდოება, საკუთარი გულის ცემა გვესმოდა ყველას... როდესაც სხვა ანსამბლებმა აიღეს მეორე და მესამე ადგილები და პირველი ადგილის გამოცხადებაზე გადავიდნენ, მაშინ ამოვისუნთქეთ სიამაყით...“ - იხსენებს იტალიური კონკურსის ემოციებს „ოქროს ფარის“ ქორეოგრაფი ნონა თედიაშვილი. გალა კონცერტის შემდეგ, გაიმართა დაჯილდოება. „ოქროს ფარს“გადაეცა ორი პრიზი. როგორც საუკეთესო ანსამბლს და როგორც საუკეთესო ქორეოგრაფიული ნომერის ,,პოპურის,, შემსრულებელს... მოცეკვავეები დაჯილდოვდნენ დიპლომებითა და პირველი ხარისხის მედალებით.

იტალიაში „ოქროს ფარს“ მცირე „ქორეოგრაფიული ინციდენტი“ შეემთხვა. ანსამბლმა ორჯერ იცეკვა გალა კონცერტისათვის 6 საუკეთესო ნომერს შორის შერჩეული ქართული პოპური... პოპური ხანჯლების დარჭობის ნომერსაც ითვალისწინებდა. მიუხედავად იმისა, რომ არ შეიძლებოდა, მეორედ ცეკვისას, აღფრთოვანებულმა მოცეკვავეებმა მაინც დაარჭეს სცენაზე ხანჯლები... მაყურებელში დიდი ოვაცია გამოიწვია.. „მაგრამ ჩვენ დავჯარიმდით, ვიცოდით რომ დაგვაჯარიმებდნენ, მაგრამ გვიღირდა.. ისეთი მაგარი გამოვიდა.. ზოგადად, ევროპის სცენებზე იკრძალება ხანჯლების დარჭობა... აკადემიურ ანსამბლებს ათასობით ევროს გადახდა მოუწიათ...ჩვენ გაგვიმართლა ძალიან.. ოდნავ იყო დაზიანებული საფარი,“- ქორეოგრაფი ნონა თედიაშვილი.

ფესტივალის ფარგლებში, ანსამბლი იმყოფებოდა კურორტ რიმინზე... მოინახულეს ჯუჯა სახელმწიფო სან-მარინო, საოცარი ვენეცია და ფლორენცია... ბულგარეთშიც ანსამბლის მოცეკვავეებმა უცხოელებისათვის ქართული ცეკვის საღამო გამართეს. იქვე გაიმართა ფოტოსესია და კლიპის გადაღება... ამ ეტაპზე მიმდინარეობს კლიპის მონტაჟი. „ მადლობა N studios ამ დაუვიწყარი გასტროლისთვის, მადლობა მშობლებს და ჩვენ საამაყო მოცეკვავეებს“, - ნონა თედიაშვილი.

ხაშურელი პატარა მოჭადრაკეების დიდი წარმატება

გასულ კვირას, ზესტაფონში, გიმართა ცნობილი საჭადრაკო კომპოზიტორის ჯემალ მახათაძის სახელობის ტურნირი ჭადრაკში

მოზარდებს შორის, სადაც ბრწყინვალედ გამოვიდნენ ხაშურის სასპორტო სკოლის წარგზავნილები. ცნობილი მწვრთნელის - ალექსანდრე ჭადაშვილის შეგირდებმა მართლაც შესანიშნავი შედეგი აჩვენეს. 10 წლიანებს შორის, შვიდი შესაძლებლობიდან ექვსი ქულით, პირველი ადგილი დაიკავა ლაზარე ლიჩელმა. 12 წლიანებში ვერცხლის მედალი აიღო ალექსანდრე აკოფაშვილმა (7-დან - 5,5 ქულა). სულ ჩვენი 8 მოჭადრაკე იღებდა ტურნირში მონაწილეობას და მათ მიერ მიღწეული საერთო შედეგებით, ტურნირის საუკეთესო მწვრთნელად ალექსანდრე ჭადაშვილი დასახელდა.

კიდევ ერთი წარმატება ბათუმიდან მოვიდა, სადაც, საერთაშორისო ტურნირზე, რომელშიც რუსი, უკრაინელი, ლატვიელი, სომეხი მოჭადრაკეები მონაწილეობდნენ, ჩვენმა ანდრია კახიშვილმა, 12 წლამდელთა შორის, პირველი ადგილი მოიპოვა.

ვულოცავთ პატარა მოჭადრაკეებს ამ წარმატებას და გვჯერა, მათი სახით დიდი ოსტატები ეზრდებიან ხაშურს.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.